ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, როგორიცაა წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება; სხვადასხვა ღონისძიებებზე ტრანსპორტირება; შშმ სპორტსმენებისათვის ტურნირებზე მივლინება; სპორტული ღონისძიებებისათვის თასებისა და მედლების შესყიდვა; სპორტული ღონისძიებებისათვის დიპლომების ბეჭდის მომსახურება; სასკოლო სპორტული ოლიმპიადისათვის ფორმების შესყიდვა; გივი თალაკვაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი მძლეოსნობაში; სამოყვარულო ფეხბურთის ლიგა; ქალთა საერთაშორისო დღისდადმი მიძღვნილი ფრენბურთის ტურნირი; გურამ ქურასბედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჭიდაობის ტურნირი; მალვა ზოიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ძიუდოში (საერთაშორისო); სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი მართონი; სულიკო ნიქაბაძის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი; ნოდარ კობრეიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი მინი ფეხბურთში; დავით აფხაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ბ/რმ ჭიდაობაში; ზურაბ ზადირეიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში კერძო და საჯარო სკოლებს შორის; როინ მეტრეველის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ხელბურთში (საერთაშორისო); ზაურ ტეხოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი მინი ფეხბურთის ტურნირი კერძო და საჯარო სკოლებს შორის.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლინება; სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია და მასობრიობის ზრდა;		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		531,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის საყოველთაოობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბო არენა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 01		104,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო არენა		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ფუნქციონირების ხარჯების დაფინანსება. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02 02		426,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბო მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 12 სპორტულ მიმართულებას, რომელთაც ეუფლება 442 სპორტსმენი.		



მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდებისათვის ხელმისაწვდომია სპორტული კლუბებით და სექციებით სარგებლობა.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		338,2
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია მოწყობა სოფელ ქვითრში, მუხიანში, გეგუთსა და მაღლაკში, ასევე ოფშკვითში, სოფელ მუხიანში, სოფ. მაღლაკში, სოფელ ფარცხანაყანეში და ქალაქ წყალტუბოში დედა ენის, შანიძის, ტაბიძისა და კოლხეთის ქუჩებზე.		
მოსალოდნელი შედეგი	ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა; მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		1421,6
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორიცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ასევე მოხდება რელიგიური ორგანიზაციების სუბსიდირება ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		
პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1214,2
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორიაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დაინტერესება და ჩართულობის გაზრდა		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 01		443,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ინტელექტუალური, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პრობლემების შექმნა. ხელოვნებასთან ზიარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმალური განათლების მიღება. ახალგაზრდობისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება.მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები და მათი თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 02		637,3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები .		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01 03		133,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია.		



მოსალოდნელი შედეგი	ტურისტული ზონის, როგორც რეკრეაციული, ბალნეოლოგიური და სამკურნალო ტურიზმის კომპლექსის მიმზიდველი იმიჯის ფორმირება.		
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებები	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		107.4
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიცაა: სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, საშობაო ღონისძიება, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე წარმატებულთა დაჯილდოვება, ტრანსპორტირება, აგრო ტურისტული ფესტივალი, სასწავლო წლის დაწყება, ხელოვნების დღეები წყალტუბოში, მოწვევა, ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილი, სიყვარულის დღე, გენდერული თანასწორობა, ქართული სამოსის დღე, ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 2 მაისობა (გვირილობა), ზაფხვითა საერთაშორისო დღე, სახალხო დღესასწაული „ოტიაობა“, 8 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებული ღონისძიებები, ღვინის და ყველის ფესტივალი, სოხუმის დაცემის დღე, სახალხო დღესასწაული შემოდგომის წყალტუბო, პოეზიის საღამო, სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებებისათვის ბროშურების, წიგნების, მოსალოცი და მოსაწვევი ბარათების ბეჭდვის მომსახურება; საახალწლო ღონისძიება; საახალწლო საჩუქრები.		
	ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება ქალაქ წყალტუბოში ოტია იოსელიანის ბიუსტის მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის ზრდა; კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პატივისცემა და განვითარება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 03		100,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას.		
მოსალოდნელი შედეგი	ეპარქიის ფუნქციონირების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		9,1
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)		
პროგრამის აღწერა	პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა პროექტები:		



და მიზანი	• ეტალონი; • ახალგაზრდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დღეები; • რა? სად? როდის? • შშმ პირებისთვის საჩუქარი; • ევროკავშირის დღეები.
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართული ახალგაზრდები და მათი თავისუფალი დროის გონივრული გამოყენება; მასობრივ ახალგაზრდულ ღონისძიებებში ახალგაზრდების ჩართულობა;

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1547.7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2020 წლის ბიუჯეტი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 547,7	68,1	1 479,5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	96,1	62,1	33,9
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	96,1	62,1	33,9
06 02	სოციალური პროგრამები	1 451,6	6,0	1 445,6
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	226,8	0,0	226,8
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევრემელ პირთა დახმარება	2,0	0,0	2,0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	95,0	0,0	95,0
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	9,0	6,0	3,0
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	455,7	0,0	455,7
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	118,5	0,0	118,5
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	502,6	0,0	502,6
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	42,0	0,0	42,0



პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01		96,1
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებითა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დაფინანსებას, რათა განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებები.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		96,1
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხვედველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

ქვეპროგრამის/ღონისძიების დასახელება	კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01		226,8
ქვეპროგრამის/ღონისძიების განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი		
ქვეპროგრამის/ღონისძიების აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. 2019 წლის მიმდინარე პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობს 190 ბენეფიციარი.		
მოსალოდნელი შუალედური/საბოლოო შედეგი	სოციალურად დაუცველი და უკიდურესად შეჭირვებული მოსახლეობის საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		2,0



ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	ბენეფიციართათვის პროგრამით გათვალისწინებული სერვისების მიწოდება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		95,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მშობლები) ერთჯერადი ფულადი დახმარება: ა) მესამე შვილის შეძენისას – 500 ლარი, ბ) მეოთხე შვილის შეძენისას – 700 ლარი, გ) მეხუთე და მეტი შვილის შეძენისას – 1000 ლარი, დ) ერთი და მეტი ტყუპის შეძენისას - 500 ლარი; ე) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი გაიცეს ერთჯერადად 300 ლარი. ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით. ამ სოციალური პროგრამის ა, ბ, გ, დ, პუნქტები ვრცელდება იმ ოჯახებზე, რომელთა შვილები დაიბადა 2019-2020 წლებში და არ აქვთ მიღებული ერთჯერადი დახმარება.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		9,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა, საშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, ასევე უჭირისუფლო გარდაცვლილების დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება, თითოეულზე 250 ლარის ოდენობით.		
მოსალოდნელი შედეგი	სარიტუალო მომსახურებით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		455.7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
	აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების ერთჯერადი დახმარება განისაზღვრება შემდეგ კატეგორიებზე:		



ა) სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 65000-დან 100001-ის ქულის ჩათვლით და ღებულობს საარსებო შემწეობას განესაზღვროს დახმარება - 250 ლარი.

ბ) დიდი სამამულო ომის მონაწილის დახმარება - 500 ლარი;

გ) ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე პირის დახმარება - 350 ლარი;

დ) დედ-მამით ობოლი ბავშვის დახმარება - 500 ლარი;

ე) ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირის დახმარება - 500 ლარი;

ვ) ა(ა)იპ „სათნოების სახლის“ ბენეფიციარის დახმარება საადგომოდ 100 ლარი და საახალწლოდ 100 ლარი.

ზ) მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დახმარება, რომელსაც სტატუსი მიენიჭა თვალის დაავადების დიაგნოზით - 250 ლარი;

თ) თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ მოქალაქის დახმარება - 1800 ლარი;

ი) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის დახმარება, გარდა ცერებრალური დამბლით დაავადებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვისა - 300 ლარი;

კ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილის, სახელმწიფო გასაცემლის (კონპესაცია, საპენსიო პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია) მიმღების დახმარება 350 - ლარი;

ლ) სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლი ომის მონაწილის დახმარება თითოეულს - 350 ლარი.

მ) 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პირის ოჯახის (ოჯახის წევრის რეგისტრაციის ადგილის მიუხედავად) ფულადი დახმარება - 1800 ლარი;

ნ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო ოჯახის, პირის (საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოების გამო) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 150 ლარისა, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარისა.

ო) ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის (პირთა) დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირის ასანაზღაურებელი თანხის გაცემა თვეში არაუმეტეს 150 ლარი, წლის განმავლობაში არაუმეტეს 1800 ლარი.

პ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დახმარება (გინეკოლოგიის ან / და რეპროდუქტოლოგიის დახმარება კონსულტაცია ან / და შესაბამისი სამედიცინო კვლევები) არაუმეტეს 200 ლარი.

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

ჟ) 2020-2021 სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ა(ა)იპ სარეაბილიტაციო ცენტრი „ჩვენი სახლის“ ბენეფიციარი ბავშვის დახმარება 100 ლარის ოდენობით.

რ) სოციალურად დაუცველ ოჯახის, რომელიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებულია 0-დან 65 000 -ი ქულის ჩათვლით, პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება - 300 ლარი.

ს) სადღესასწაულოდ (აღდგომა) სოციალურად დაუცველ ოჯახზე (სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 65000-მდე ქულის ჩათვლით რეგისტრირებულ), რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლი ბავშვის, 100 წელს გადაცილებული პირის, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კვების პროდუქტებით დახმარება, თითოეულ ოჯახს არაუმეტეს 50 ლარის ღირებულებისა.

ტ) ონკოლოგიური დაავადების მქონე 18 წლამდე ბავშვის (ლეიკემია, ლიმფოგრანულომატოზი, ანემია, სხვადასხვა სახის სიმსივნეები) დახმარება - 500 ლარი.

უ) ფენილკეტონურიით დაავადებულ 18 წლამდე ბავშვის დახმარება - 500 ლარი.

ფ) მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირის დახმარება - 300 ლარი.

ქ) ფსორიოზით დაავადებულ პირთა დახმარება - 200 ლარი.

ღ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან კერძოდ კი მინდობით აღზრდიდან ან მცირე საოჯახო სახლებიდან სრულწლოვნობის მიღწევის გამო ამორიცხული ახალგაზრდების (18-21წელი) ბინის ქირით უზრუნველყოფა საცხოვრებლის არარსებობის შემთხვევაში - ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. წელიწადში 1800 ლარი.

ყ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება,



	რომლებიც სწავლობენ ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მათი სოციალური მდგომარეობა მძიმეა მშობლების: გარდაცვალების, უგვზოუკვლოდ დაკარგვის, მარჩენალის დაკარგვის, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მსჯავრდებულის პატიმრობაში ყოფნის გამო. სტუდენტების თანადაფინანსება განისაზღვროს გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა. ამავე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდებიან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტები, თანადაფინანსება განისაზღვრება გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს 2000 ლარისა. შ) სპეციალიზირებულ დაწესებულებებიდან (მათ შორის მინდობით აღზრდიდან) ბიოლოგიურ ოჯახში, მეურვესთან / მზრუნველთან საცხოვრებლად დაბრუნებულ თითოეულ ბავშვს, ოჯახის გაძლიერების მიზნით, განესაზღვროთ დახმარება წელიწადში ორჯერ, ექვს თვეში ერთხელ 250 ლარი, წელიწადში 500 ლარი. ჩ) სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული არიან 0-დან 100 001-ი სარეიტინგო ქულით, ზამთრის სეზონთან დაკავშირებით, შეშის მომარაგების მიზნით, გადაეცეთ მერქნული რესურსი (შეშა) თითოეულს 3 (სამი) კუბური მეტრის ფარგლებში. ამ სოციალური პროგრამის ცალკეული ქვეპუნქტების ერთობლივად დადგომის შემთხვევაში თითოეული დახმარება გაიცემა ქვეპროგრამაში გათვალისწინებული შესაბამის მოცულობათა ერთობლიობით.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და სადღესასწაულო წახალისება; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		118,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას.		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		502.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
	ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციები, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციები, (სამედიცინო ჩვენებით), სხვა სამედიცინო მომსახურება-იოდოთერაპია, რადიოიზოზირული აბლაცია, ლითოტრიფსია, ქიმიო, ჰორმონო, სხივური თერაპია და სხვა. ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული მათ შორის C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში ჩასართავად საჭირო დიაგნოსტიკური და მკურნალობის მონიტორინგის კვლევები და სხვა სახის კვლევები, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. სამედიცინო მომსახურების ღირებულება თანადაფინანსების წესით, დაფინანსდება წელიწადში ერთხელ, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50%-ით არაუმეტეს -1000 ლარი. ონკოლოგიური დავადების მქონე პირებისათვის, დახმარება განისაზღვრება წელიწადში ორჯერ, ზემოთ აღნიშნული თანადაფინანსების წესით.		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამით მოსარგებლები არიან ასევე 2 წლიდან 15 წლის ასაკის ჩათვლით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებსაც გააჩნიათ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) განვითარების ზოგადი აშლილობების (F84.0 - F84.9) ჯგუფის დიაგნოზი ძირითად დიაგნოზად: ა) 84.0 ბავშვთა აუტიზმი ბ) 84.1 ატიპიური აუტიზმი გ) 84.2 რეტის სინდრომი დ) 84.3 ბავშვთა სხვა დეზინტეგრაციული აშლილობა ე) 84.4 ჰიპერაქტიური აშლილობა თანმხლები გონებრივი ჩამორჩენილობით და სტერეოტიპული მოძრაობებით ვ) 84.5 ასპერგერის სინდრომი ზ) F84.8 განვითარების სხვა ზოგადი აშლილობანი. თ) F84.9 განვითარების ზოგადი აშლილობა დაუზუსტებელი ასევე დაფინანსდებიან 2-15 წლამდე ასაკის ბავშვები სხვა გონებრივი ჩამორჩენილობით (F-78.0-78.9) რომელთაც ძირითად დიაგნოზად განესაზღვრათ: ა) 78.0 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. ქცევის აშლილობა არ არსებობს ან მინიმალურია ბ) 78.1 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა, არსებობს ქცევის მნიშვნელოვანი აშლილობა, რომელიც მოითხოვს ყურადღებას და მკურნალობას გ) 78.8 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. სხვა ქცევითი აშლილობანი დ) 78.9 სხვა გონებრივი ჩამორჩენილობა. განუზავსაზღვრელი ქცევითი აშლილობა. პროგრამით გათვალისწინებული მომსახურება ფინანსდება ყოველთვიურად თვის 10 რიცხვამდე, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 420 ლარისა.		
	მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და გაუმჯობესებული ჯანმრთელობა	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		42,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია 2020 წელს მომხდარი ხანძრის, სტიქიის - მიწისძვრის, მეწყრის, ჩამოცვენის, ჩამოშლის, ქვათა ცვენის, კარსტული ჩამოქცევის, ღვარცოფის, წყალდიდობის, წვიმის (თოვლის) წყალმოვარდნის, ქარიშხლის, ძლიერი ქარის, გრიგალის, ძლიერი ქარბუქის, დიდთოვლობის, ძლიერი გაყინვის, მსხვილი სეტყვის, ძლიერი წვიმების, ხანგრძლივი წვიმების, კოკისპირული წვიმების, გვალვის, ზვავის, ხანძრის და სხვა ბუნებრივი ან/და ტექნოგენური ან/და საგანგებო ხასიათის მოვლენების შედეგად დაზარალებული, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების კუთვნილ საცხოვრებელ სახლზე (ბინაზე) მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურებისათვის დახმარება განისაზღვრება ერთჯერადად არაუმეტეს - 2000 ლარი. დახმარება ვრცელდება 2019 წლის 1 დეკემბრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულებზეც, რომელთაც მიღებული არ აქვთ - „სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა დახმარება“ 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარება.		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა სტიქიის შედეგად დაზიანებული ქონების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის		

მუხლი 18. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 945,3 ათასი ლარი. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	2020 წლის ბიუჯეტი		
		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3 945,6	103,7	3 841,8
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	3 343,9	103,7	3 240,2
01 01 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო	864,7	0,0	864,7
01 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	2 344,0	0,0	2 344,0
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	112,7	103,7	9,0
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადება	22,6	0,0	22,6
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	601,6	0,0	601,6
01 02 01	სარეზერვო ფონდი	100,0	0,0	100,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწ. აღსრულებების ფონდი	87,4	0,0	87,4
01 02 03	მოქალაქეთა ჩართულობა	414,2	0,0	414,2

პროგრამის დასახელება	კოდი	კადრების მომზადება-გადამზადება	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	01 01 04		22,6
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი; მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური;		
პროგრამის აღწერა და მიზანი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის თანამშრომლების გადამზადება განხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში.		
მოსალოდნელი	მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.		



შედეგი	
--------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწ. აღსრულებების ფონდი	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	01 02 02		87.4
პროგრამის განმახორციელებელი	მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის“ ფარგლებში ქონების გადაცემის სასახო ხელშეკრულებით მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ათწლიანი სესხის (რომლითაც შეძენილია ორი ერთეული კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა და ასი ცალი ნარჩენების კონტეინერი) საპროცენტო და ძირითადი თანხის დაფარვა დაწესებული გრაფიკის მიხედვით წელიწადში ორჯერ აპრილისა და ოქტომბრის 28 რიცხვებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად. ამ ქვეპროგრამით საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება ასევე წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებები და მოხდება სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა		
მოსალოდნელი შედეგი	სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულება პირგასამტეხლოს გარეშე		
პროგრამის დასახელება	კოდი	მოქალაქეთა ჩართულობა	2020 წლის დაფინანსება ათას ლარში
	01 02 04		414,2
პროგრამის განმახორციელებელი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, არქიტექტურისა და კეთილმოწყობის სამსახური)		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის შექმნა და დანერგვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოქალაქეთა სხვადასხვა საპროექტო ინიციატივები		
მოსალოდნელი შედეგი	ქალაქის იერსახის გაუმჯობესება		

მუხლი 19. პრიორიტეტების/პროგრამების/ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში.

თავი III

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 20. ბიუჯეტის ასიგნებები

ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

	2020 წლის ბიუჯეტი
--	-------------------



პროგრამული კოდი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
00 00	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	26 002,5	7 116,2	18 886,3
	მომუშავეთა რიცხოვნობა	179,0	0,0	179,0
	ხარჯები	12 891,0	934,5	11 956,5
	შრომის ანაზღაურება	2 371,7	78,6	2 293,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13 056,0	6 181,7	6 874,3
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	3 945,6	103,7	3 841,8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	179,0	0,0	179,0
	ხარჯები	3 428,2	102,2	3 326,0
	შრომის ანაზღაურება	2 371,7	78,6	2 293,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	461,8	1,5	460,3
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	3 343,9	103,7	3 240,2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	179,0	0,0	179,0
	ხარჯები	3 291,4	102,2	3 189,2
	შრომის ანაზღაურება	2 371,7	78,6	2 293,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	52,6	1,5	51,1
01 01 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო	864,7	0,0	864,7
	მომუშავეთა რიცხოვნობა	37,0		37,0
	ხარჯები	859,2	0,0	859,2
	შრომის ანაზღაურება	595,6	0,0	595,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,5	0,0	5,5
01 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია	2 344,0	0,0	2 344,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	135,0		135,0
	ხარჯები	2 298,4	0,0	2 298,4
	შრომის ანაზღაურება	1 691,9	0,0	1 691,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	45,6	0,0	45,6
01 01 03	სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური	112,7	103,7	9,0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7,0		7,0
	ხარჯები	111,2	102,2	9,0
	შრომის ანაზღაურება	84,2	78,6	5,6



	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,5	1,5	0,0
01 01 04	კადრების მომზადება-გადამზადება	22,6	0,0	22,6
	ხარჯები	22,6	0,0	22,6
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	601,6	0,0	601,6
	ხარჯები	136,8	0,0	136,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	409,2	0,0	409,2
01 02 01	სარეზერვო ფონდი	100,0	0,0	100,0
	ხარჯები	100,0	0,0	100,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწ. აღსრულებების ფონდი	87,4	0,0	87,4
	ხარჯები	31,8	0,0	31,8
01 02 03	მოქალაქეთა ჩართულობა	414,2	0,0	414,2
	ხარჯები	5,0	0,0	5,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	409,2	0,0	409,2
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	13 137,2	5 858,6	7 278,6
	ხარჯები	2 056,4	500,9	1 555,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11 080,8	5 357,8	5 723,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	8 387,8	5 124,1	3 263,7
	ხარჯები	542,7	492,7	50,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 845,1	4 631,4	3 213,7
02 01 01	გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება	8 259,6	5 124,1	3 135,5
	ხარჯები	492,7	492,7	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7 766,9	4 631,4	3 135,5
02 01 02	გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება	50,0	0,0	50,0
	ხარჯები	50,0	0,0	50,0
02 01 04	ხიდების და ბოგიერების მშენებლობა	78,2	0,0	78,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	78,2	0,0	78,2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 090,4	0,0	1 090,4
	ხარჯები	40,0	0,0	40,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 050,4	0,0	1 050,4
02 02 01	სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია	118,2	0,0	118,2
	ხარჯები	0,0	0,0	0,0



	არაფინანსური აქტივების ზრდა	118,2	0,0	118,2
02 02 02	სასმელი წყლით უზრუნველყოფა	972,1	0,0	972,1
	ხარჯები	40,0	0,0	40,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	932,1	0,0	932,1
02 03	გარე განათება	654,3	0,0	654,3
	ხარჯები	350,0	0,0	350,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	304,3	0,0	304,3
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	350,0	0,0	350,0
	ხარჯები	350,0	0,0	350,0
02 03 02	გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა	304,3	0,0	304,3
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	304,3	0,0	304,3
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	31,6	20,8	10,8
	ხარჯები	8,2	8,2	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	23,4	12,6	10,8
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	250,0	0,0	250,0
	ხარჯები	250,0	0,0	250,0
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	971,1	0,0	971,1
	ხარჯები	865,5	0,0	865,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	105,6	0,0	105,6
02 06 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება	768,5	0,0	768,5
	ხარჯები	763,5	0,0	763,5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,0	0,0	5,0
02 06 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	102,1	0,0	102,1
	ხარჯები	102,1	0,0	102,1
02 06 03	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	100,6	0,0	100,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100,6	0,0	100,6
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 257,8	713,8	544,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
02 08	საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა	244,3	0,0	244,3



	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	244,3	0,0	244,3
02 09	სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა	250,0	0,0	250,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	250,0	0,0	250,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1 171,0	0,0	1 171,0
	ხარჯები	1 167,3	0,0	1 167,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,7	0,0	3,7
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1 131,0	0,0	1 131,0
	ხარჯები	1 127,3	0,0	1 127,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,7	0,0	3,7
03 02	უპატრონო ცხოველების ოპერირება	40,0	0,0	40,0
	ხარჯები	40,0	0,0	40,0
04 00	განათლება	3 878,0	1 085,7	2 792,3
	ხარჯები	2 758,8	267,8	2 491,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1 119,2	817,9	301,3
04 01	საბავშვო ბაღების გაერთიანება	2 792,3	0,0	2 792,3
	ხარჯები	2 491,0	0,0	2 491,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	301,3	0,0	301,3
04 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია	1 085,7	1 085,7	0,0
	ხარჯები	267,8	267,8	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	817,9	817,9	0,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი	2 323,0	0,0	2 323,0
	ხარჯები	1 940,6	0,0	1 940,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	382,5	0,0	382,5
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	892,4	0,0	892,4
	ხარჯები	547,4	0,0	547,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	345,0	0,0	345,0
05 01 01	სპორტული ღონისძიებები	23,0	0,0	23,0
	ხარჯები	23,0	0,0	23,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0



05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	531,2	0,0	531,2
	ხარჯები	524,4	0,0	524,4
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,8	0,0	6,8
05 01 02 01	წყალტუბო არენა	104,6	0,0	104,6
	ხარჯები	102,3	0,0	102,3
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,3	0,0	2,3
05 01 02 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება	426,6	0,0	426,6
	ხარჯები	422,1	0,0	422,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,5	0,0	4,5
05 01 02 03	საფეხბურთო კლუბი სამგურალი	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	338,2	0,0	338,2
	არაფინანსური აქტივების ზრდა	338,2	0,0	338,2
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 421,6	0,0	1 421,6
	ხარჯები	1 384,1	0,0	1 384,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	37,5	0,0	37,5
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1 214,2	0,0	1 214,2
	ხარჯები	1 206,7	0,0	1 206,7
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,5	0,0	7,5
05 02 01 01	წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი	443,1	0,0	443,1
	ხარჯები	440,1	0,0	440,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,0	0,0	3,0
05 02 01 02	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი	637,3	0,0	637,3
	ხარჯები	632,8	0,0	632,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,5	0,0	4,5
05 02 01 03	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი	133,8	0,0	133,8
	ხარჯები	133,8	0,0	133,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	0,0
05 02 02	კულტურული ღონისძიებები	107,4	0,0	107,4
	ხარჯები	77,4	0,0	77,4



	არაფინანსური აქტივების ზრდა	30,0	0,0	30,0
05 02 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	0,0	100,0
	ხარჯები	100,0	0,0	100,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	9,1	0,0	9,1
	ხარჯები	9,1	0,0	9,1
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1 547,7	68,1	1 479,5
	ხარჯები	1 539,7	63,6	1 476,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	8,0	4,5	3,5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	96,1	62,1	33,9
	ხარჯები	91,6	57,6	33,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,5	4,5	0,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	96,1	62,1	33,9
	ხარჯები	91,6	57,6	33,9
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,5	4,5	0,0
06 02	სოციალური პროგრამები	1 451,6	6,0	1 445,6
	ხარჯები	1 448,1	6,0	1 442,1
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,5	0,0	3,5
06 02 01	წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი	226,8	0,0	226,8
	ხარჯები	225,8	0,0	225,8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,0	0,0	1,0
06 02 02	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღევანდელ პირთა დახმარება	2,0	0,0	2,0
	ხარჯები	2,0	0,0	2,0
06 02 03	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის	95,0	0,0	95,0
	ხარჯები	95,0	0,0	95,0
06 02 04	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი	9,0	6,0	3,0
	ხარჯები	9,0	6,0	3,0
06 02 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება	455,7	0,0	455,7
	ხარჯები	455,7	0,0	455,7
06 02 06	ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი	118,5	0,0	118,5



	ხარჯები	116,0	0,0	116,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,5	0,0	2,5
06 02 07	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება	502,6	0,0	502,6
	ხარჯები	502,6	0,0	502,6
06 02 08	სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება	42,0	0,0	42,0
	ხარჯები	42,0	0,0	42,0

თავი IV მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 21. ასიგნებების დაფინანსება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 22. ასიგნებების გადანაწილება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 23. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 25. დავალიანებების ანაზღაურება

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 02 02-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2020 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 26. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის

1.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერი 170,0 ათასი ლარი



მიიმართოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 61,1 ათ ლარი.

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 102,9 ლარი.

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 6,0 ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 27. სარეზერვო ფონდი

2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 100,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

